



**ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი
სს ენერგო-პრო ჯორჯიასა და სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის
სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლას შორის**

ქ. ქუთაისი

31 იანვარი 2018 წ.

სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა (შემდგომში - სკოლა) წარმოდგენილი მისი დირექტორის ქეთევან მახარაშვილის სახით და სს „ენერგო-პრო ჯორჯია“, წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის, მიხეილ ზოცვაძის სახით, ვაფორმებთ წინამდებარე მემორანდუმს და ვთანხმდებით შემდეგზე:

მუხლი 1. მემორანდუმის საგანი

წინამდებარე მემორანდუმის საგანს წარმოადგენს მხარეებს შორის ურთიერთგაგებისა და პატივისცემის პრინციპებზე დაფუძნებული თანამშრომლობა მემორანდუმით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად.

მუხლი 2. მემორანდუმის მიზანი

წინამდებარე მემორანდუმის მიზანია - ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში სახელმწიფო ენის პოპულარიზაცია და მოსახლეობის სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობა, ურთიერთთანამშრომლობა საგანმანათლებლო და პროფესიულ საკითხებში, მხარეების მიერ ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება.

მუხლი 3. მხარეთა თანამშრომლობის პირობები

მემორანდუმის მხარეები მემორანდუმის მიზნების მიღწევისა და ამოცანების გადაწყვეტისას თანხმდებიან ითანამშრომლონ შემდეგზე:

3.1. სსიპ-ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა, სს „ენერგო-პრო ჯორჯიასთან“ შეთანხმებით, დაგეგმავს და განახორციელებს ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ პერსონალისათვის ქართული ენის სწავლებას ენობრივი კომპეტენციის A1, A2, B1, B1+, და B2 დონეებზე;

3.2. სსიპ-ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მაღალ ორგანიზაციულ დონეზე წარმართვას, მსმენელთათვის

მოსახერხებელი გრაფიკითა და ენერგეტიკის სფეროს დარგობრივი ლექსიკით გამდიდრებული სასწავლო სახელმძღვანელოების გამოყენებით;

3.3. სს „ენერგო-პრო ჯორჯია“, შესაძლებლობის ფარგლებში, მხარს დაუჭერს სსიპ-ზურაბ ფვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის პროექტებს და დაგეგმილი ღონისძიებებს, რომლებიც ხელს შეუწყობენ სახელმწიფო ენის პოპულარიზაციას, სახელმწიფო ენის სწავლების პროცესის სრულყოფას, ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირთა ერთიან სახელმწიფოებრივ სივრცეში ინტეგრაციას.

მუხლი 4. მემორანდუმის მოქმედების ვადა და მისი შეწყვეტის საფუძვლები

4.1. მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 3 წლის განმავლობაში;

4.2. მემორანდუმის შეწყვეტის საფუძვლებია:

4.2.1. ერთ-ერთი მხარის ინიციატივა, მეორე მხარისათვის 2 კვირით ადრე წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით;

4.2.2. მხარეთა წერილობითი შეთანხმება;

4.2.3. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძვლები.

მუხლი 5. დასკვნითი დებულებები

5.1. წინამდებარე მემორანდუმში ცვლილებების და დამატებების შეტანა დაიშვება წერილობითი ფორმით, ორივე მხარის ხელმოწერით და ძალაშია ხელმოწერისთანავე;

5.2. მხარეთა შორის წარმოშობილი სადავო საკითხები უნდა გადაწყდეს მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო;

5.3. მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.


მხარეთა რეკვიზიტები:

სსიპ - ზურაბ ფვანიას სახელობის
სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა

სს „ენერგო-პრო ჯორჯია“

საქართველო, 4600
ქ. ქუთაისი, ნიკვას ქუჩა #13
ელ-ფოსტა: k.makharashvili@zspa.ge
ვებ-გვერდი: www.zspa.ge

საქართველო, 0186
ქ.თბილისი, ზურაბ ანჯაფარიძის ქუჩა #19
ელ-ფოსტა: info@energo-pro.ge
ვებ-გვერდი: www.energo-pro.ge



ქეთევან მახარაშვილი
დირექტორი

მიხეილ ბოცვაპე
გენერალური დირექტორი